№ 195 სექტემბერი 12, კვირა — 1893 — სექტემბერი 12, კვირა № 195


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისათვის დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვერანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893

კვირას 19 სექტემბერს, დილის 11 საათზე თავად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში მოხდება

**წლიური კრება**

ქართველ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგანნი განხილვისა:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა
2) მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
3) ამორჩევა კომმისიებისა.
4) ამორჩევა ახალთა წევრთა.

---

## ტფილისი

12 სექტემბერს

ჩვენ მოგვივიდა წესდება ახლად დაარსებულის საზოგადოებისა ტფილისში. ამ ნორჩ საზოგადოებას ეწოდება: „ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა შუამავალი“.

ამხანაგობას აზრადა აქვს, ამბობს 1-ლი პარაგრაფი წესდებისა, გაუადვილოს მწარმოებელთა გასაღება თავის ნაწარმოებისა და იეფად აუიდვინოს მუშტარს ყოველივე, რაც დასჭირდება, ე. ი. ამხანაგობა უნდა გახდეს ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მსყიდველთა შორის.

ამ განზრახვით „ამხანაგობა“ იყიდის და გაჰყიდის ყოველსავე, რაც-კი მოდის ჩვენს ქვეყანაში: პურს, ღვინოს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს, ყველს, ხე-ტყეს, ხილს და სხ. აგრეთვე რაც-კი კეთდება გარეშე ქვეყნებში ან რუსეთში: ყოველს გვარს მანქანას, სამუშაო იარაღს, ხელსაწყოს, რკინეულობას, აბრეშუმეულობას, მაუდეულს, შუშეულობას, საოჯახო და საყოველდღეო საჭირო ნივთსა და საგანს, და საზოგადოდ ათასს ისეთს რასმეს, რაიცა დღეს საჭიროდ ცნობილია კაცისათვის.

ასეთის საზოგადოების დაარსება დიდი ხანია სასურველი იყო და, მადლობა ღმერთს, რომ სიტყვა საქმედ გადაქცეულა და ქვეყანას უცვნია საჭიროდ თავისივე სიმდიდრე თავისთვისვე მოიხმაროს და არ ჩაუგდოს ხელში ისეთ ხალხს, რომელიც მხოლოდ იმაზედ არის გადამდგარი, რომ სხვისის შრომითა და ოფლით მონაგარი ქონება თვითონ დაისაკუთრონ.

თუ რამდენად სასარგებლო იქმნება ამ ახალის ამხანაგობის მოღვაწეობა, ეს თავისთავადაც ცხადია და ნათელი, მაგრამ მაინც ვიტყვით რამდენსამე სიტყვას. იმის მაგიერად, რომ თქვენმა საქონელმა ხუთისა და ექვსის კომისიონერის ხელში გაიაროს, რომელსაც თითოეული ამათგანი კაი გვარინა ნაჭერს აართმევს, ეხლა მწარმოებელს ეძლევა ღონისძიება თავისი საქონელი პირდაპირ მიაწოდოს მყიდველს. აქედგან წარმოსდგება ისა, რომ ის საკომისიო სარგებელი, რომელსაც ხუთი და ექვსი დალალი აცლიდა საქონელს, ყოველივე ესე, ახალის „საზოგადოების“ შემწეობით, დარჩება ჯიბეში თითონ საქონლის პატრონს, მწარმოებელს.

ხოლო რაც შეეხება საქონლის შეძენას, აქაც ესევე წესი იქმნება ხმარებული. „ამხანაგობა“ ფაბრიკანტისაგან ნაყიდს, მერე გაყიდულსა და კვლავ ნაყიდს-კი აღარ მიაწოდებს მუშტარს—და ამ გადაყიდ-გადმოყიდვაში, როგორ მატულობს მუშტრისთვის საქონლის ფასი, ეს ადვილი წარმოსადგენია—არამედ პირდაპირ ფაბრიკიდან მოსულს.

ამ შემთხვევაში საქონლის მუშტარს ეძლევა საშუალება, რომ ყოველთვის ბევრად უფრო იეფად იშოვნოს, ვიდრე დღეს, რადგანაც სამის და ოთხის მაგიერად ეყოლება შუამავლად მხოლოდ ერთი «ამხანაგობა».

ამ სახით საქონლის მწარმოებელი ორგვარად მოგებულია. თავის ნაწარმოებზედაც დიდი ეკონომია რჩება და ნაყიდ საქონელზედაც არა ნაკლები სარგებლობა აქვს.

ჩვენ დრო არა გვქონდა მთელი წესდება „ამხანაგობისა“ გულ-დასმით გაგვეჩხრია და, ამიტომ, თუ რამ ნაკლულევანება მოიძებნება ახალის საზოგადოების წესდებაში, ამაზედ ეხლა ჩვენ, რასაკვირველია, ვერას ვიტყვით.

იმედი-კი გვაქვს, რომ ასეთი საფუძვლიანი და დროს შესაფერი საქმე კარგა წავა და დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ, სამოქალაქო ნიჭი ქართველს კაცსაც მოეძებნება, თუ გაუჭირდა.

მევლე

---

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 10-ს რკინის გზის საავადმყოფოში ორი ავადმყოფი იყო. სამხედრო საავადმყოფოშიაც ორი და ერთიც მიხეილის საავადმყოფოში.

გუშინ დილით სამხედრო საავადმყოფოში 1 ავადმყოფი იყო.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში ხოლერა გაჩნდა. სექტემბრის 7-ს ავად გახდა ორი კაცი, სადაც იმავე დღეს ხოლერა გადაედო საავადმყოფოს მსახურს.

---

## ახალი ამბავი

*** ავლაბრის საზოგადოებას იჯარით აქვს აღებული ქალაქის მამულები. ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა ქაღალდი მიართვეს ქალაქის გამგეობას და სჩივიან, რომ ცხენოსანმა ჯარმა აღლუმის დროს, 8 სექტემბერს, გააფუჭა იჯარით აღებულის მამულის საბალახოები და დასჭრა ხეები, და ზარალი მისცა საზოგადოებას 1200 მანეთისაო. წარმომადგენელნი ავლაბრელთა სთხოვენ გამგეობას შუამდგომლობა გაგვიწიე წინაშე სამხედრო უწყებისა, რათა ზარალი აღგვიდგინონო.

*** პარასკევს, 10 სექტემბერს, სასანიტარო კომისიამ დაიარა და გასინჯა ტყ ვის ქარხნები და სამღებროები რიყეზედ. კომისიის აზრით, შეუძლებელია ამისთანა ქარხნების დატოვება ქალაქში ც ნამეტურ ისეთს მჭიდროდ დასახლებულ უბანში, როგორიც არის რიყე. ჰაერსაც აფუჭებს ხსენებული ქარხნები და მიწასაც, ამიტომ უნდა ვთხოვოთ ბ-ნ გუბერნატორს, უეჭველად ქალაქ გარედ გაიტანონ ეს ქარხნებიო.

*** ჩუმათელეთში (გორის მაზრა) სექტემბრის 7-ს ოთხი კაცი გახდა ავად. მიზეზი წყლის ხმარებაა. აქაურს წყალში ჩადის უსუფთაობა სახელმწიფო ქონების მმართველობის აბანოდგან. მცხოვრებლებს აუკრძალეს აბანოს ქვემოდ ამ წყლის სმა და ხმარება

*** ბათუმი: 31 სექტემბერს აქ ორი მატარებელი დაეჯახა ერთმანერთს. საქმე გამომძიებელს გადაეცა. ზარალი სულ 2456 მ. 96 კაპეიკია.

*** ბაკურციხე. (ქიზიყი): თითქმის მთელს ზაფხულს, ორ თთვე ნახევარს, წვიმა არ მოსულა; ახლა-კი, როცა სრულიად საჭირო არ არის, ყოველ დღე მოდის თითქმის, აგერ ერთი კვირაა. თუ მალე არ დაგვეხსნა, ყურძენს სულ დაჰხეთქავს და გააფუჭებს.

*** რუისი. (ქართლი): ერთს ოჯახში აქ ორი, არა უმნიშვნელო ძველი ხელ-ნაწერი აღმოჩნდა. ერთს აწერია სათაურად: „შვენიერი ისტორია ტროადისა, ფრიღის სახელმწიფოსი“; მეორეს აწერია: „სარკე“ და შეიცავს სხვა-და-სხვა ნაწერებს მეფე თეიმურაზისას. შესაძლოა რომ ამ ხელ-ნაწერებში იყოს რამ საყურადღებო ამბავი, ან მოთხრობა ჩართული, და სასურველია მათი გადასინჯვა მცოდნეთაგან. ამის გარდა რუისის ტაძრის წიგნთ-საცავში მოიპოვება რამდენიმე ძველი ხუცური ხელ-ნაწერი და, როგორც ამბობენ, ზენდურიც. ყოველსავე ამის განხილვა და გაჩხრეკა უნდა.

*** ქედა (აჭარა): აქ ერთი უბედურება დატრიალდა: ომერ მეზურჩიოღლის უცაბედად თოფი გავარდა და მოხვდა მის ამხანაგს ოსმან ხამშინ-ოღლის ზურგში. დაჭრილმა იქვე სული განუტევა. დამნაშავე გამომძიებელმა თავდებობით განათავისუფლა.

*** იქიდამვე: ადრე დათესილი სიმინდები სიცხემა და გვალვამ დასწვა, გვიან დათესილები-კი ამ ბოლოს დროს ისევ გამობრუნდა კარგის ამინდების წყალობით. ყურძენს, ცოტა არ იყოს, ნაცარი შეაყარა, ხილეული შარშანდელზედ მეტი უნდა მოვიდეს წელს.

*** ჯავახეთი: ამას წინად ყაზარმიდგან ღამე მომავალი ყაზახი კლდეზედ გადავარდა უცაბედად და საცოდავი ისე დაიჩეხა, რომ ერთს საათსაც ვეღარ იცოცხლა. თურმე ყაზახებს ცოტა ესვათ, ღამის თერთმეტ საათზე არაყი შემოჰკლებოდათ და შექეიფიანებულნი სასმლის სასყიდლად წასულიყვნენ. წინ მიმავალი კლდის ბილიკს ასცდენოდა და გადაჩეხილიყო.

აქ კომისია იყო შემდგარი მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით, რომელსაც აქაური მამულები ხარისხებად უნდა დაეყო სახელმწიფო გადასახადის გასაწერად, თუმცა გარდასახადი შემოიღეს, მაგრამ ხარისხებად ვერ იყო სამართლიანად დაყოფილი, ზოგს ბევრი ჰქონდა შეწერილი, ზო-

---

# ფელეტონი

## მასლაათი

„... სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართეველად“.

რუსთაველი

ამას წინად, მასლაათის დროს, ერთი ჩემი მეგობარი მარწმუნებდა, მთლად ჩვენი შინაური ცხოვრება ღირსია, რო სამართალში მიეცეს, ბრალდებულის სკამზე დაჯდეს და სასტიკი განაჩენი მიესაჯოსო. სწორედ მოგახსენოთ, არაფრად მესიამოვნა ეს ამბავი და, როცა სიტყვა შევუბრუნე, მეგობარი თავისის აზრის განმარტებას შეუდგა და საბუთებიც მოიყვანა. სად გაგონილა ამოდენი ბოროტება, ეს დაუსრულებელი ძარცვა-გლეჯა, ხანჯლის ტრიალი, შვილისაგან მოხუცებულ მამის მოკვლა და სხვა უთვალავი დანაშაულიო. აი თუნდ უკანასკნელი ამბავი აიღეთ— თავადს კოწია ლორთქიფანიძეს თავისი მოხუცებული და სათნოებით სავსე მამა რო მოუკლავსო. მოჰყვა მეგობარი მერე სხვა მაგალითების ჩამოთვლას და ბოლოს ისეთი საზარელი და სულის აღმაშფოთებელი სურათი დახატა, რომ მეც უნებურად სევდასა და დარდს მივეცა.

მოხუცებულ მამის მოკვლა... რაღა იქმნება ამაზე უფრო უარესი და მეტად შემაძრწუნებელი დანაშაული!? ჩვენს ძველს სამართალს მამის მოკვლა ისე მძიმე დანაშაულად მიაჩნდა, რომ პირდაპირ ამბობდა— ღმერთმა ნუ ინებოს და საქართველოში არც გაგონილა მამის მოკვლა და სასჯელსაც ამიტომ არ ვაწესებთო. ეხლა-კი ეს დანაშაულიც ნელნელა ვრცელდება. მოდი ამის შემდეგ და თავიდამ შავი ფიქრები აიცილე!..

მართლაც-და, სამწუხარო დრო დაგვიდგა. ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ერთს სანუგეშო ამბავზე ათი და ოცი დანაშაული მოდის. მეტადრე ძლიერ გახშირდა მოკვლა და სხვა ისეთი ბოროტება, რომელიც მიმართულია ადამიანის პიროვნების წინააღმდეგ. ზნეობა იქამდე დაეცა, უკეთურება და უკანონობა ისე გალაღდა, რომ შვილი, სულ უბრალო მიზეზის გამო, მშობელს აღარ ინდობს, ნათესავი ნათესავსა ჰკლავს, მეზობელი მეზობელსა. ახალ ამბავად მხოლოდ ის-ღა გესმის, რომ აქ ესა-დაეს დასჩეხეს და იქ ესა-და-ეს მოკლესო. ყოველ დღე გაზეთებში უხვად იბეჭდება ამ გვარი ამბები. ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ეს ამბები მთელს რუსეთსა და სხვა ქვეყნებში ეფინება და ამის გამო სახელი გვიტყდება, ჩვენი ზნეობრივი ვინაობა მცირდება. ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ ზოგიერთებს ქართველობა ველურ ხალხად მიაჩნიათ!?

ბოროტება და დანაშაული თუ სადამდე გაკადნიერდა, ამას შემდეგი ამტკიცებსო,—დღეობას წასვლა საშიშარი შეიქმნა და რაც დრო გადის, «ხატებს» მლოცველები აკლდება. ყველა უბედურებას უფრთხის და დღეობაში წასვლას შინ ჯდომას ამჯობინებსო, ამბობდა ჩემი მეგობარი. კიდევ კარგი, თუ ადამიანს სახლში მაინც არ ეშინოდეს, დამჩეხენ ან მომკლავენო, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ოჯახშიაც ისეთივე იარაღის ტრიალია, როგორც შარა გზაზე და სალოცავის ხატის მოედანზე. დიაღ, ჩვენის ცხოვრების მატიანეს უმეტესად დანაშაულობის ამბავი შეადგენს.

დასაფიქრებელი და საყურადღებო კიდევ სხვა რამეა. ჩვენს დროს დანაშაულობამ ძველი რაინდული ხასიათი და თვისება დაჰკარგა. ეხლა ღალატით, მალვით, „დიაცურად“ მოკვლა მეტად გახშირდა. წარმოიდგინეთ, ხმლისა ან ხანჯლის მაგიერ, ჯიბის დანით ჰკლავენ და ნაცვლად მისა, რომ ფხიზელი კაცი გულში გამირონ, მძინარეს ყელსა სჭრიან, თითქო წიწილაო. რამდენია ამის მაგალითი! მძიმე დანაშაული თუმცა გავრცელდა, მაგრამ გარ ეგნობით დაქუცმაცდა, დაწვრილმანდა. ეს გარემოება უფრო ცხადად ამტკიცებს ჩვენის ზნეობის დასუსტებას, ჩვენს წამხდარს ვაჟ-კაცობას.

როცა ზნეობრივი ცხოვრება ასეთს მდგომარეობაშია და ხალხის სოციალურს სხეულს აშკარად ატყვია ავადმყოფობის ნიშანი, მაშინ საჭიროა აღნიშვნა,—თუ საიდგან და როგორ წარმოსდგა ესეთი მდგომარეობა და რა წამალი უნდა დაედოს ავადმყო-

გსა ცოტა. ეხლა-კი კომისიამ ყოველივე ეს შეასწორა.

*** ნაგომარი (გურია): ივლისის 25, ნაგომარზე თავ. დავით სვიმონის ძის გუგუნავას თაოსნობით გაიმართა ქართული წარმოდგენა აქაურის სკოლის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენიდგან შემოსავალი იყო 72 მ. და 10 კ. აქედამ, სცენის მოწყობისა და სხვა წვრიმალ საჭიროებისათვის დაიხარჯა 36 მ. წმინდა შემოსავალი დარჩა 36 მ. და 10 კ. ეს ფული განაწილდა ამ რიგად: გურიის სახალხო ბიბლიოთეკას 8 მ. 50 კ. უსინათლოთა სასარგებლოდ 4 მ. ერთ ღარიბ სტუდენტს 5 მ. და დანარჩენი 18 მ. და 60 კ. გადაიდო სკოლის სასარგებლოდ და კიდევ დარჩა რამდენიმე ნივთი სცენის მოსაწყობად, ღირებული 6 მ.

## შემოწირულობა

ძაშიანის სამრევლო სკოლის მმართველი მღვდელი ილია შიუკაშვილი კახეთიდამ გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბ-ნს ტ. რცხილაძეს შეუწირავს მისდა რწმუნებულის სკოლისათვის შემდეგი წიგნები:

„კუნწულა“ ი. გოგებაშვილისა, „კონა“ მისივე, „გადია“ აკაკისა, „წითელი ფარანი“ გადმოთარგმნილი გ. ანდრონიკაშვილისა, „ცვარი“ შ. მღვიმელისა, „საქართველოს ძველის დროის მეფეებზედ“ გულისაშვილისა. „წამება წმ. გიორგისა“ მღ. ნ, მაღალდაძისა, „გულივერის მოგზაურობა“ ნათარგმნი ნ. ცისკარაშვილისა, „ბანჯგვლიანი ფუტკრის ამბავი“ ნათარგმნი აბაშიძისა, „ევგენი ევგენიჩ ხანხალოვი“ გრ. იაკობიძისა. „შოთა რუსთველი და იმისი ცოლი“ ა. ფურცელაძისა, „ბედ-უკუღმართი ჯალაბობა“ ალ. მირიანაშვილისა, „სკოლა და ოჯახი და ამხანაგები“ გ. ბ—ძისა, „სალამური ანუ ლექსთა კრება“ ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

## დამაკვირდი

უოკელთვის ნუ იტყვი იმას, რაც იცი, ხოლო ის-კი მუდამ იცოდე, რასაც ამბობ.

კლავდიუსი

**

ჭკუა-ნაკლებ კაცისათვის—მეხსიერება უქმად შენახული განძია.

**

ადამიანის უბედურების უმთავრესი მიზეზი—დაუდევრობა და აჩქარებაა.

**

სიყვარული, რომელსაც თან არ სდევს შიში და იმედი—უცეცხლო და უზეთო ლამპარს ჰგავს.

## კორესპონდენცია

**ნაგომარი** (გურია). 6 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, აქ ერთი უბედურება მოხდა: დაგვესხნენ თავს ვიღაც ავაზაკნი ყაჩაღის "დათია მიქელაიშვილის მეთაურობით. იმ ღამეს დიდი წვიმა მოდიოდა. ყაჩაღები ისე შემოიპარნენ, რომ ყარაულმა ვერ გაიგო. შევიდნენ პირველადვე ალექსი ნიკოლაიშვილის დუქანში და დაადგნენ თავს საწყალს, ფული მოგვეციო. ავაზაკნი სულ ხუთნი იყვნენ: ერთი გარედ დამდგარიყო, ორი დუქანში და ორიც იმ დუქნის უკანა ოთახში, საცა დუქნის პატრონი ანგარიშებს ასწორებდა. მედუქნეს დაჰკრეს ხანჯალი თავში, მერე მკლავში და წააქციეს. მედუქნის ძმას და პატარა ნოქარს გურულს, სამსონიას, თავს ადგა ორი ავაზაკი თვით დუქანში. როგორც იყო დააღწია თურმე თავი პატარა სამსონიამ ყაჩაღებს, გამოვარდა გარედ და დაიყვირა: გვიშველეთ, ფირალებიო! ამ დროს თურმე ყარაულიც ამოსაფრებული იყო, გავარდა მისი თოფი და წააქცია ის ავაზაკი, რომელიც დუქნის წინ იდგა და კარგად სჩანდა დუქნის სინათლეზედ. ასტყდა საშინელი თოფის სროლა. ყაჩაღებმა წაავლეს ხელი დაჭრილს და გაიქცნენ. უნდოდათ თურმე ყველა დუქნები ჩამოევლოთ და ყოველგან ხარკი აეღოთ. ყაჩაღებმა წაიღეს 6 მან. ფულად და ორისამის თუმნის ნივთები. მაშინვე აცნობეს ეს ამბავი ვისიც ჯერ იყო. მალე მოვიდა მაზრის უფროსი, ბოქაული და გასცა ბრძანება, მოკლული კაცი, როგორმე ეპოვნათ. თუმცა პოლიცია დიდად სცდილობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოკლული ვერ აღმოაჩინეს. ვერ აღმოაჩინეს აგრედვე მეორე ავაზაკიც, რომელიც დაჭრილ იქმნა ყარაულ ხარტიშვილის თქმით. მაგრამ თუ ასე მხნედ დაუწყეს კიდევ ძებნა ავაზაკებს, იმედია, მალე აღმოაჩენენ.

ნაგომრელი

**ქვემო-აჭარა.** დიდად გულს მაკლია, რომ ბათუმის სკოლაში ქართველ-მაჰმადიანთ ყმაწვილები ნაკლებად არიან. ფრიად სასურველია, რომ ამ სკოლაში ხოჯა კვლავ იყოლიონ. მაშინ იმედია, მაჰმადიანები ისევ ბლომად მიაბარებენ შვილებს. ბევრმა შეიგნო აქეთ სწავლის გემო და მნიშვნელობა, შეძლებაც აქვს თითო-ოროლას იმდენი, რომ შვილის გამოზრდა სწავლებაში არ გაუჭირდება, მაგრამ, თითქო არ ეხერხებათ ეს ახალი საქმე, თითქო ვერ ჰბედავენ. ხუთიოდ-ათის წლის შემდეგ იქნება ჩვენვე ვეხვეწებოდეთ სკოლაში მიიღეთ ჩვენი შვილები და ასწავლეთ რამეო. ეხლაც-კი ზრდიან ორიოდენი. აი თვითონ მე: ბათუმის სკოლაში ერთი ჩემი ნათესავი მყავდა სასწავლებლად, იქ გაათავა სწავლა და ახლა სხვაგან ვასწავლებინებ. ღვთით, იქნება ტფილისშიაც გავგზავნო შემდეგ სწავლის განსაგრძნობათ. შეიძლება, რომ ამ მაგალითს სხვებმაც წაჰბაძონ და ასე, ცოტ-ცოტაობით, ჩვენი საქმე წინ წავა. დღესაც ნელ-ნელა ვრცელდება ჩვენსკენ ქართული წერა-კითხვა. მადლობელი ვართ ბ-ნის ზ. ჭიჭინაძისა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც მოდის აქეთ და წიგნებს გვაწვდის და ბავშვებსაც ასწავლის ქართულ-რუსულ წერა-კითხვას. კარგი იქმნება, რომ სხვა ნასწავლმა ქართველებმაც დაგვათვალიერონ ხოლმე ათაში ერთხლ.

## რუსეთი

საერო განათლების სამინისტრო ამ დღეებში წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს დედათა სწავლა-განათლების პროექტს. ეს პროექტი შეეხება მაღალს, საშუალო და პირველ დასაწყისს სწავლას.

—

გაზეთ Моск. Вѣд. თანამშრომელი დურნოვო ეკამათება სუდჟანსკის თავად-აზნაურთა წინამძღოლს რომლის წერილი, მემამულეთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ, ამას წინად დაბეჭდილი იყო გაზ. С.-Петерб. Вѣд.-ში.

წინამძღოლი სხვათა შორის, ამბობს, რომ, ჰირნახულის ფასის დაცემისა გამო ბევრი მამული გამოეცლება ხელიდგან თავად-აზნაურსაო. M. B.-ის თანამშრომელი არ ეთანხმება და ამბობს, რომ ფასის დაცემა პურისა და მეტადრე ჰვავისა, როგორც ხალხის უმთავრესის საზრდოსი, ნამდვილი პალადიუმია თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობისათვის. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმარისია გადაფურცლოთ ნოტარიუსების დავთრები და შეადაროთ ცნობები, როდის უფრო მეტი მამული გაყიდულა და ვის ხელში გადასულა: მაშინ როცა ჰირნახულს კარგი ფასი ედო, თუ როცა ფასი კლებულობდა. მხოლოდ თავად-აზნაურთ შეუძლიანთ, როგორც საპოლიტიკო წოდებას, იქონიონ 4% მოსავლის მომტანი მამული, ე. ი. იმაზედ ნაკლებ მოსავალს დასჯერდეს, რასაც იღებს სახელმწიფოს ფასიან ქაღალდების პატრონი. ვაჭრებისა და მევახშეთა თანხა-კი უფრო დიდს სარგებლობას ეძებს და, თუ მიწას მიუბრუნდება, სულ სხვა განზრახვით, სახელდობრ, იმ განზრახვით, რომ ყოველივე ძალა გამოსწოვოს; ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ჰირნახული კარგა ფასობს ან მამულის გამოფიტვა უნდათ. მაგრამ ეხლა მამულს რაღა შერჩენია, რომ შეიძლებოდეს კიდევ მისი გამოფიტვა: ნიადაგი სულ გათახსირებულია და მოსავალს ძალიან მცირეს იძლევა, მოძრავი ქონება აღარ არის და ტყე, რაც-კი დარჩა, მთავრობამ ჩაიბარა დასაცველად.

ამ რიგად, Моск, Вѣд.-ის თანამშრომლის აზრით, მამულის ფასი არც იკლებს და არც იმატებს, რაც უნდა ცუდს მოსავალს იძლეოდეს. ეს სწორედ გასაოცარი გამოკვლევაა, ხოლო დურნოვო თავად-აზნაურთა გულს-კი ვერ მოჰხიბლავს, ათასჯერაც რომ უთხრას, „საპოლიტიკო წოდება“ ხარო, ამბობს გაზ. Рус. Вѣд.; თუ ჰირნახულის ფასის დაცემა და მამულის მოუსავლიანობა „ჭეშმარიტი პალადიუმია თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობისა“, ცხადია, თავად-აზნაურნი უნდა სცდილობდნენ ეხლანდელი თვისი ყოფა-ცხოვრება და მამულის პატრონობა სამუდამოდ უცვლელად დარჩეს. მაშ რაღად სცდილობენ თავი დააღწიონ აწინდელს საზარალო მდგომარეობას? დარწმუნებულნი ვართ, აზრადაც არავის მოუვა შეეცილოს, თავად-აზნაურთ პალადიუმს რომელიც, საბედნიეროდ, ბ-ნ დურნოვოს უპოვია. ხოლო Моск. Вѣд-ის თანამშრომელი ამასაც აღარ სჯერდება და უფრო კარგი რამ აღმოუჩენიაო:

„ეხლანდელი დაქვეითება მეურნეობისა საყოველთაოა, როგორც მიწის პატრონისათვის, ისე გლეხისათვისაც, და პირდაპირი, ლოღიკური და აუცილებელი შედეგია ესრედ წოდებულის „დიდის რეფორმებისა“.

—

გაზეთი „Ю. Кр.“ იუწყება, რომ 19 აგვისტოს ხარკოვის გუბერნატორმა დაჰბეჭდა განცხადება შესახებ იმ ხმებისა, რომელიც ხალხში გავრცელდა, ვითომ მკურნალები ხალხსა სწამლავენ და ჰხოცავენო. ეს განცხადება თავდება შემდეგის სიტყვებით: „ხელახლად ვიწვევ საზოგადო საქმის დასახმარებლად ყველა პატიოსანს კაცს, რომელსაც-კი უყვარს თავისი ხელმწიფე და სამშობლო და ვსთხოვ ყველას, არა მარტო დაეხმარონ მთავრობას და შეატყობინონ ვინაობა მავნე ხმების გამავრცელებელთა, არამედ ეცადნენ შთააგონონ ხალხს, რომ ასეთი ხმები ყოვლად გვარ საფუძველს მოკლებულია.

—

მრავალ ნაირი ცრუ-მორწმუნეობა გავრცელდა რუსეთში მოუსავლობის დროს. აი ამის ერთი მაგალითი: ერთს ოჯახში დაბადებულა ბავშვი, (ამბობენ 12 წლის გოგოს ჰყოლიაო). წაიყვანეს მღვდელთან მოსანათლად. გახსნეს შესახვევი და ბავშვის მაგივრად ლოქო-კი გამოჩნდა. წაიყვანე'ს უკან, შინ ისევ ბავშვი აღმოჩნდა. კიდევ წაიყვანეს მღვდელთან. ახლა ბავშვის მაგიერ შესახვევში სანთელი იდო. მღვდელმა უთხრა: წაიყვანეთ და, თუ მესამედაც შინ ბავშვი აღმოჩნდება, მაშინ-კი მოვნათლამ, რადაც უნდა იქცესო. მესამედ პური აღმოჩნდა და მღვდელმა მონათლა. როცა ნათლობა გათავდა, ხმა მოისმა:

„—კარგად მოიქცა მღვდელი, რომ პური მონათლაო. ლოქო რომ მოენათლა, საშინელი სიმშილობა ჩამოვარდებოდა. სანთელი რომ მოენათლა, მოარული გაჩნდებოდაო; და პური რომ მონათლა, მერმის კარგი მოსავალი იქმნებაო“.

## პოლიტიკა

იმ ხმებმა, რომ ინგლისის ესკადრა ტარენტოში უნდა მივიდესო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის გაზეთებში. ერთი გაზეთი, მაგალითად, ამ ამბის გამო სწერს: აქამდე ინგლისს არ გამოუჩენია თავისი თანაგრძნობა სამთა კავშირისადმი. თვით სოლსბერის კაბინეტი სცდილობდა, ამ საქმეს განზე გასდგომოდა. მაგრამ ეხლა-კი, თუ ვინიცობაა

---

ფის სხეულს. სოციალური სხეული რთულის აგებულებისაა, მრავალგვარი ძალა და მანქანება ამოძრავებს. ყველა ამას გამოკვლევა უნდა, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდია და არც მასლაათით მოხერხდება.

არც ჩვენ ვკისრულობთ ამ საქმეს და მხოლოდ ერთს გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. ეს გარემოება ის არის, რომ სისხლის დანაშაული ჩვენს თავად-აზნაურობას უფრო ძლიერ მოედო, თითქო გადამდები სენიაო. შედარებით რომ ვსთქვათ, მდაბიო ხალხში ნაკლებად მოიპოება დანაშაული, ვიდრე მაღალ საზოგადოებაში. მეტადრე ეს უნდა ითქვას ისეთს დანაშაულზე, როგორც კაცის მოკვლა, დაჭრა და სხვა ამ გვარია. ყველა ჰხედავს, რომ თავადი და აზნაური ადვილად ეკიდება სხვის სიცოცხლეს, მეტად იაფად აფასებს ამ საუნჯეს და სულ უბრალო მიზეზის გამო წუთი-სოფელს ასალმებს თავის მსხვერპლსა. სხვაფრივ იქცევა მდაბიო კაცი. იგი მეტის რიდითა და პატივით ეპყრობა მოყვასის სიცოცხლეს. რაიმე გაჭირვება და დიდი მიზეზი თუ გააბედვინებს გლეხს სხვის მოკვლას, გახეიბრებას, დაჭრას და სხ. პირველ შეხედვით ეს დაუჯერებელ ამბავად გეჩვენებათ, მაგრამ ნამდვილად-კი ასეა. მხოლოდ საქმე იმაშია,—რად მოხდა ეგრე და რა მიზეზია, რომ სასისხლო დანაშაული უფრო მაღალ საზოგადოებაშია გავრცელებული?

ჩვენი წარსული ცხოვრება მოწმობს, რომ ჟამითი-ჟამად სხვა-და-სხვა დანაშაულის ქმნა სენად გარდაქცევია საზოგადოებას. ისიც ხშირად მომხდარა, რომ რაიმე ერთგვარი ბოროტება გავრცელებულა მარტო საზოგადოების ერთს ნაწილში, ერთს წოდებაში. მაგალითებრ, იყო დრო, როცა ცოლის უმიზეზოდ გაგდება თავად-აზნაურობაში ჩვეულებრივს დანაშაულს შეადგენდა. მაშინ სამართალიც განსაკუთრებულ ღონისძიებას მიმართავდა ხოლმე და სასტიკის სასჯელის დაწესებით სურდა აღმოეფხვრა ბოროტება. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ყოველგვარ დანაშაულს, საზოგადო მიზეზებს გარდა, კერძო, საკუთარი მიზეზიცა აქვს. სწორედ ამნაირად უნდა განიმარტოს ის გარემოებაც, რომ ასე გახშირდა სასისხლო დანაშაული მაღალ წოდებაში.

როცა ამ საუკუნის დამდეგს ძველი სახელმწიფო მოისპო და საქართველოს ახალი დრო დაუდგა, შინაურს ცხოვრებასაც დიდი ცვლილება მიეცა. პირველხანს ძველი ებრძოდა ახალს, მაგრამ პირველი მალე დაირღვა და მეორეს დაუთმო ადგილი. ძველის ცხოვრების დარღვევამ, რასაკვირველია, დიდი გავლენა იქონია იმ მაღალ საზოგადოებაზე, თავად-აზნაურობაზე, რომელიც ცხოვრების სათავეში იდგა, და ეს გავლენა კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ თავად-აზნაურობამ დაჰკარგა თავისი ძველებური ზნეობრივი სიმხნევე და ძალა, გონებრივი ვარჯიში და სიფხიზლე.

ძველად მაღალს საზოგადოებას, საკუთარს საქმეებს გარდა, საქვეყნო ზრუნვა და სამშობლოს პატრონობა აწვა ტვირთად. ცუდად იყო თუ კარგად, ქვეყანას მაინც მაღალი საზოგადოება უწევდა სამსახურს და ამისათვის საჭირო იყო ცოდნა, ენერგია, შრომა. აღზრდისა და სწავლის საქმეც ისე იყო მოწყობილი, რომ თითოეული თავადი და აზნაური, უპირველეს ყოვლისა, საქვეყნო მოღვაწეობისათვის უნდა მომზადებულიყო. ან სხვაფრივ როგორ მოხერხდებოდა, როცა მთელის ერის გამგეობა და მართვა მაღალს საზოგადოებას ებარა? ქვეყნის პატრონობის საქმეს მომავალი პატრონი და ბატონი ოჯახში სწავლობდა და თითონ ოჯახი წარმოადგენდა ისეთს დაწესებულებას, სადაც სუფევდა სასტიკი წესი და სახლის უფროსის განუსაზღვრელი ნება და სადაც ახალგაზდის ზნეობრივი არსება იწვრთნებოდა. სახლს, ოჯახს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული და საოჯახო აღზრდას დიდი პატივი ედო.

ახალმა დრომ ძირეულად შესცვალა თავად-აზნაურობის მდგომარეობა. ჯერ ერთი, რომ მაღალს საზოგადოებას საქვეყნო ზრუნვა და ტვირთი მოაშორეს და დაუტოვეს მარტო საკუთარი, კერძო, შინაური საქმე, რომლის გასაძღოლად ის, ბევრ შემთხვევაში, მომზადებული არ იყო. ამ გარემოებამ თავად-აზნაურობა სულ სხვა მიმართულებაზე დააყენა. საზოგადოებრივს მოღვაწეობას მოკლებული თავად-აზნაურობა მიჰყვა უაზრო და უშინაარსო ცხოვრებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ესკადრის ტარენტოში მისვლა და რუსეთის ესკადრისა ტულონში ერთსა და იმავე დროს მოხდა, ამ გარემოებას შეუძლებელია დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს და შეიქმნება დასამტკიცებელ საბუთად ინგლისის თანაგრძნობისა სამთა კავშირისადმი. არ უნდა გვიკვირდესო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ ეს ამბავი მოხდეს გლადსტონის მეთაურობის დროს, რომელიც, მართალია, თითონ უფრო საფრანგეთისა და რუსეთის კავშირს თანაუგრძნობს, მაგრამ ამ ჟამად გლადსტონის ყურადღება სრულიად მიქცეულია ჰომრულსა და შინაურ რეფორმებზედ, ხოლო გარეშე საქმეთა პოლიტიკა ჩააბარა გრაფს როზბერის, რომელიც გერმანიას დიდად თანაუგრძნობს, რაიცა არავისთვის საიდუმლო არ არისო.

## უცხოეთი

**იტალია.** რუსეთის ესკადრის სტუმრად მისვლას ტულონში მოჰყვება ინგლისის ესკადრს სტუმრობა იტალიის ნავთ-სადგურებში. რომის გაზეთს Tribuna-ს აუწყებენ ნეაპოლიდამ:

ინგლისის ესკადრა, ტარენტოს გარდა, შეივლის სიცილიის ნავთ-სადგურებში, ნეაპოლს, ჩივიტა-ვეკიას, ლივორნოს, სპეციასა და გენუის. ნეაპოლში ემზადებიან, რომ ცალკე მიეგებნონ ინგლისის ესკადრას. ამას გარდა, იმავე ოფიციოზურის გაზეთის Tribuna-ს სიტყვით, აღდგენა იტალიის მუდმივ ესკადრისა, რომელიც სამის დივიზიისაგან იქმნება შემდგარი ბ რომლის ჯავშნიან ხომალდთა რიცხვიც არ შემცირდება, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ინგლისის ფლოტი ესტუმრება იტალიასო. შესაძლებელია, რომ იტალიის სათადარიგო ესკადრაც ისევე იქმნას შეიარაღებული, როგორც მომქმედი ესკადრაა. ინგლისის ფლოტი დაჰყოფს იტალიის ზღვებში, ოფიციოზურს «სტეფანის სააგენტოს» სიტყვით, 11-დამ 31 ოქტომბრამდე ახალის სტილით. Politische Korrespondenz-ს სწერენ რომიდამ, რომ ინგლისის ფლოტის ყოფნა იტალიაში სწორედ იმ დროს, როცა ტულონში რუს-ფრანგთა მანიფესტაციები იქმნება, იტალიელთ დიდ მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნიათო. რომში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ორი ვიზიტი ერთსა და იმავე დროს შემთხვევის საქმე არ არის: ორსავე ვიზიტს კავშირი აქვს ერთმანერთთანა. ინგლისის ესკადრის უფროსი ლორდი სეიმურია.

**საფრანგეთი.** გენერალ მირიბელის დასაფლავებაზედ გრენობლის ეპისკოპოსმა, მონსინიორ ფავამ წარმოსთქვა ნამდვილი საპოლიტიკო მნიშვნელობის სიტყვა. სიტყვა საინტერესოა, როგორც საწყაო იმ პატრიოტულის ერთსულობისა, რომელმაც შეიპყრო მთელი საფრანგეთი რუსეთის ესკადრის მისვლის გამო ტულონს. ტულონისა და პარიჟს საბჭოთა სოციალისტების შემდეგ გამოდის სარბიელზედ საფრანგეთის სამღვდელოება და საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს თვისი თანაგრძნობა რუსეთის მიმართ. თანაგრძნობას აცხადებს მით, რომ სწუხს და ჰნანობს, საფრანგეთმა რად მიიღო მოეაწილეობა ყირიმის ომშიო. გარნა მარტო მონსინიორ ფავას სიტყვით არ თავდება საპოლიტიკო მნიშვნელობა, რომელიც მიეცა გენერალ მირიბელის დიდის ამბით დასაფლავებას. იქ დაესწრო საფრანგეთის მხედრობის მომავალი მთავარ სარდალი— გენერალი სოსიე, რომელმაც გამოაცხადა, რომ განსვენებულის ღვაწლის მეოხებით საფრანგეთის მხედრობას შეუძლიან გულ-დამშვიდებით დაუხვდეს ყოველ გვარ შემთხვევასა და უცაბედობასაო, ხოლო სამხედრო მინისტერმა გენერალმა ლუაზილიონმა მიაქცია მსმენელთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ მორიბელმა დასტოვა ისეთი შეგირდები, რომელთაც ძალუძთ განაგრძონ და განამტკიცონ საქმე საფრანგეთის მხედრობისაო, რომლის აღდგენისა და აღორძინების ერთ-ერთი მიზეზი იყო განსვენებულიო.

**ავსტრი-ვენგრია.** პრაღაში საფრთხილო წესის გამოცხადება განიზრახა მთავრობამ იმის გამო, როგორც გაზეთები ამბობენ, რომ 18 აგვისტოს, იმპერატორის დაბადების დღეს, ჩეხებმა დემონსტრაცია გამართეს სამეფო დინასტიის წინააღმდეგ. მინისტრებს თათბირი ჰქონიათ ამ დემონსტრაციის გამო და გადაუწყვეტიათ საფრთხილო წესი გამოვაცხადოთ, რომ შემდეგისთვის უწესოების ჩადენა აღარავინ გაბედოსო. ეს გარდაწყვეტილება იმპერატორს დაუმტკიცებია 24 აგვისტოს. ეჭვი არა აქვთ, რომ რეიხსრატიც დაეთანხმება მთავრობას და ამ წესის შემოღებას შეიწყნარებსო.

## თეატრის მატიანე

კორშის თეატრში მოსკოვს ამას წინად წარმოადგინეს დრამა ზუდერმანისა Heimat, რომლისთვისაც მთარგმნელს სახელად უწოდებია „მამის სახლი“. დრამა ძალიან მოსწონებიათ მაყურებელთ და საინტერესოც არის. აი შინაარსი:

სამსახურიდგან გამოსული პოლკოვნიკი შვარცი მეტად თავ-ნება კაცია. ოჯახში მხოლოდ ის არის მბრძანებელი; გარეშე ხალხთან შვარცი თავაზიანი და ზრდილობიანია, მოვალეობის მტკიცე ამსრულებელი, ქველმოქმედი, ხოლო თავის ოჯახში მეტად მკაცრი. ამასთანავე, როგორც განუვითარებელი კაცი, ამაყია და თავმოყვარე. ერთად-ერთის ადამიანის რჩევა არ მიაჩნია შვარცს საწყენად— პასტორ გეფტერდინგისა, რომელმაც წყნარის ხასიათით, მოყვასთა განკითხვით, თავის თანამდებობის აღსრულებით და თავმდაბლობით მთელის მრევლის სიყვარული მოიპოვა. საზოგადო საქმებში გართულს პასტორს მხოლოდ ერთხელ მოაგონდა თავის თავი, როდესაც იგრძნო შვარცის ქალის მაგდას სიყვარული. სთხოვა შვარცს ქალი, ისიც დასთანხმდა, ხოლოდ ქალს თავის ოჯახშიც მოეწყინა ზეითუნის ზეთი, თამბაქო და კაპლები; იცოდა რომ პასტორის ხელშიც ამაზედ მეტს ვერას ჰნახვდა და ცოლობის უარი უთხრა. მამამ, ასეთის ურჩობით გაბოროტებულმა, გამოუცხადა ქალს: „ან პასტორს გაჰყევი, ან ჩემის სახლიდგან დაიკარგეო. მაგდაც დაიკარგა, წავიდა კომპანიონად. შვარცს ეგონა, ქალი შეინანებს და შენდობას მომთხოვსო, მაგრამ მოსტყუვდა: მისი ქალი ერთის წლის შემდეგ არტისტ ქალად წავიდა და მცირე ხანში სახელი გაითქვა. გავიდა 12 წელიწადი და იმ ქალაქს, სადაც შვარცი სცხოვრობდა, გამოჩენილი არტისტი ქალი ეწვია და სამუსიკო საღამო გაჰმართა, რომლითაც მსმენელნი დაატკბო. ეს ქალი მაგდა იყო, რომელსაც მამის ნახვა მოესურვა. მამა ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ დასთანხმდა, რომ ქალი თავის ოჯახში დაბრუნებულიყო. შვარცმა გაიგო, რომ მაგდას ერთი ვიღაც კელლერი ჰყვარებია და იმისგან შვილიც ჰყოლია. ვერ შეეთვისა შვარცი იმ აზრს, რომ ვიღამაც შეურაცხჰყო მისი ქალი დაუსჯელად და გარდასწყვიტა, კელლერისთვის მიეთხოვებინა მაგდა. არც თუ კელლერი აღმოჩნდა ამ აზრის წინააღმდეგი; იმას უხარიან კიდეც, რომ გამოჩენილ არტისტ-ქალის ქმარი იქმნება. მაგდასთვის-კი კელლერი ეხლა სრულიად უცხო კაცია, საძაგელი და საზიზღარიც. ხოლო პასტორი არწმუნებს ქალს, რომ კელლერი შენის მამის ოჯახში დაამყარებს მშვიდობას, ბავშვს სახელს მისცემს და თვით შენც დაგამშვიდებს. ამ რჩევამ წაიტყუა მაგდა და კელლერის ცოლობაზედ თანხმობა ათქმევინა. კელლერმა ეს არ იკმარა და მოსთხოვა საცოლეს, სცენა სამუდამოდ მიეტოვებინა და შვილიც დროებით მოეშორებინა, რომ ამით იმის სამსახურს არა ვნებოდა-რა. ეს იუკადრისა მაგდამ და კელლერს განზე გაუდგა. შვარცი კიდევ თავისას გაიძახის და ძალას ატანს მაგდას, უთუოდ უნდა მისთხოვდეო.—რათაო? ჰკითხავს ქალი: განა დარწმუნებული ხარ, რომ მხოლოდ კელლერი იყო ჩემის გულის წარმტაციო? გაბრაზებული და გაბოროტებული შვარცი იწევს ქალისკენ, რომ თავისებურად ჩაუწყვიტოს ხმა, მაგრამ თვით დამბლად ეცემა და კვდება.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

გაზ. The Engineer-ი ამბობს, რომ ჩიკაგოს გამოფენას უკვე 16 მილიონი დოლარი ზარალი აქვსო. გამოფენაზე ნაკლები ხალხი დადის თურმე და Figaro-ს ამერიკელი კორესპონდენტი ასე განმარტავს ამ გარემოებას: დასავლეთისა და შუაგულ შტატებში სოფლელთა შორის ძალიან უფულობააო. 20—30 მილიონი მცხოვრებნი ყელამდე ვალში იხრჩობიან ჩარჩებისა და მოვახშეთა წყალობით. თვითონ ჩარჩებმა და მოვახშეებმაც არ იციან რა ჰქნან, ისე გაუჭირდათ საქმე, რადგან ველარსად ვეღარას იღებენ. ამ უფულობის გამო დაასკვნეს, რომ ვითომ შეერთებული შტატები არც ისე მდიდარია, როგორც ზოგნი ჰფიქრობენო, ეჭვი არ არის, რომ ამ ქვეყანაში ფული ბევრია, მაგრამ მეტად უსწორ-მასწოროდ არის განაწილებული. კარინიი, რომელსაც შეუსწავლია ეს საგანი, ამბობს, რომ იქ ეხლა 2000-მდე მდიდარია და ყველა ეს მდიდრები სცხოვრობენ დასავლეთის შტატებში და კალიფორნიაშიო. შუაგული შტატები მეტად ღარიბნი არიან და მათი ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება დასავლეთისა და კალიფორნიის ინტერესებსო.

**

ჩიკაგოდგან დეპეშით იუწყებიან 1 (13) სექტემბრის თარიღით: ზღვის ნაპირას, სოფ. კესლერთან, დილის სამს საათზედ, რკინის გზის მატარებელს დაეცა ოცი შეიარაღებული ნიღაბ-ჩამოფარებული კაცი და მატარებელი გააჩერეს. მემანქანემ ერთი ავაზაკი მოჰკლა, მაგრამ დანარჩენებმა რევოლვერით დასჭრეს. ავაზაკებმა დინამიტით ააფეთქეს საქონლის ვაგონი, მოიტაცეს 15,000 დოლლარი და გაიქცნენ.

**

Figaro იუწყება, რომ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ შემდეგი პროგრამა შეუდგენიათ რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად.

ა) სადღესასწაულო წარმოდგენა ოპერის თეატრში Comedie Française-ს დასის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ბ) დიდი კორმესი საფრანგეთის პროვინციებისა და პროვინციის ჟურნალ-გაზეთებისა და პარიჟში არსებულ პროვინციალ საზოგადოებათა.

გ) სახალხო ნადიმი და შემდეგ ბალეტის წარმოდგენა საოპერო ბალეტისა და პარიჟის სხვა თეატრების საბალეტო არტისტების მონაწილეობით.

დ) დოღი.

ე) შეჯიბრება ველოსიპედისტებისა, ჰაეროსტატებისა და გიმნასტთა ხოროსი და სამუსიკო ფესტივალი.

ვ) ჩირაღდნები, ვენეციური დღესასწაული სცენაზედ, ტროკადეროს და მარსის მინდვრის გაჩირაღდნება, კორტეჟი მაშხალებით.

ზ) დღესასწაულები პარიჟის ცალკე უბნებში.

მაგრამ ეს ჯერ დაახლოვებითი პროგრამაა და ჯერ არ არის დასრულებული. ამ პროგრამის შემუშავება მიენდობა ხუთს კომისიას.

**

Journal des Dêbats სწერს, რომ თეატრებს დიდს ზარალს აძლევს ის გარემოება, რომ წარმოდგენის დროს დი-

---

დროების ფლანგვას, მტრობას, შუღლს და სხვა ამ გვარს ვარჯიშობას, რომელსაც უხვად ალევდა თავის ღონესა და ენერგიას. და ან სხვა რა უნდა ექმნა, როცა ძველსა და ახალს შუა ხიდი ჩატყდა და ცხოვრების სათავეში მდგომარე მაღალ-წოდებას გზა-კვალი დაეკარგა.

არ უნდა დავივიწყოთ სხვა დიად თვალსაჩინო გარემოებაც. ახალმა დრომ შეარყია და შესცვალა საზოგადოებრივი დამოკიდებულება და ურთიერთობა,—გაამწვავა მეტადრე ეკონომიური ყოფა-ცხოვრება. მაღალმა საზოგადოებამ მიმართა განცხრომილს და მედიდურს ცხოვრებას, გარეგანს ფუქს განათლებას, რომელსაც ზედ მოჰყვა სიღარიბე. პირველ ხანს, ბატონ-ყმობის დროს, სიღარიბე ისე საგრძნობელი არ იყო, მაგრამ, როცა თავად-აზნაურობას მოაკლდა მუქთა შრომის ნაყოფი, მაშინ მისი ნივთიერი მდგომარეობა მეტად სავალალო შეიქმნა და საკვირველი არაა, რომ ეხლა ასე ხშირად ლუკმა პურისთვის იღვრება კეთილშობილი სისხლი...

შეირყა და შეიცვალა ოჯახიც. მართალს ამბობს ერთი მეცნიერი, რომ ოჯახს მკვიდრი კავშირი აქვს სახელმწიფოსთან, და როცა სახელმწიფო წეს-წყობილება და მიმართულება იცვლება, მაშინ ოჯახიც ირღვევა და იცვლებაო. ასე დაემართა ქართულ ოჯახსაც, სადაც ახალგაზდას აღარ ესმის ლალადი და გაკვეთილი იმის გამო, თუ რა არის საჭირო ქვეყნისა და სამშობლოს საპატრონოდ. წინად, დამოუკიდებლობის და თვით არსებობის დროს, ასე როდი იყო. მაშინ ოჯახი შეადგენდა უმთავრეს სკოლას, სადაც ახალგაზდა, შინაურ საქმეების გარდა, საქვეყნო საჭიროებაც ესმოდა. ეხლა სულ სხვაა: დარღვეულს და გადასხვაფერებულს ოჯახში უწესოება და ურიგობა დაარსდა, ქვეყნის პატრონობა განიდევნა, საზოგადო ზრუნვა და საგანი მოისპო და გამეფდა ვიწრო საოჯახო სარგებლის ძებნა და დევნა. კიდევ კარგი, თუ ეს პირადი სარგებლობა ეს „შენ-ჩემობა“ გონივრულად შეგნებული და აღიარებული იქმნებოდა, მაგრამ უბედურობაც ისაა, რომ პირადმა სარგებლობამ უკუღმართი მიმართულება მიიღო. პირადს სარგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს რაიმე აზრი და მნიშვნელობა, როცა მთლად ერის და საზოგადოების სიკეთეს არ ეწინააღმდეგება, საერთო სარგებლობას გვერდით უდგია, უამისოდ-კი იგი მავნებელი და დამღუპველი მოვლენაა. მაგრამ როგორ შეიძლება გონივრულ პირადის სარგებლობის შეგნება ისეთს დარღვეულს ოჯახში, რომელიც საქვეყნო აზრს და საგანს მოკლებულია?!.

რასაკვირველია, სწავლა-განათლების შეთვისება კეთილს და სასარგებლო გზაზე დააყენებდა მაღალ-საზოგადოების ოჯახს, მაგრამ ამ მხრივაც საქმე უკუღმართად წავიდა. როცა, ჟამთა ვითარების გამო, ქართულ ოჯახში „ახალი სული“ დატრიალდა, მაშინ უცხოეთელი განათლება მხოლოდ გარეგნობით, მარტო თავისის ფორმით მოევლინა ჩვენს მაღალ წოდებას. მაგრამ განათლებულ ხალხის ცხოვრების მიბაძვა სასარგებლო და ნაყოფიერი მაშინ არის, როცა უფრო ამ ცხოვრების აზრს ითვისებენ და არა მარტო ფორმას, რომელიც მხოლოდ ცალიერი ნაჭუჭია. ჩვენში შინაარსს გარეგნობა აჯობინეს, აზრს—ფორმა. აქ არის მიზეზი, რომ საოჯახო აღზრდას დასჩემდა ზნეობრივი სიფუქე და სიჭლექე, გონება დაჩლუნგდა, მოდუნდა. ეს სამწუხარო მოვლენა იმ თავიდგანვე აქამომდე მომდინარეობს და მაშ რად უნდა იყოს საკვირველი, რომ მაღალ საზოგადოების ოჯახი ვეღარ ასრულებს თავის წმინდა და საღმრთო მოვალეობას?!.

ოჯახის დარღვევის შემდეგ, რასაკვირველია, არც სწავლის საქმეს დაეყარა სიკეთე. სწავლის ძველი საფუძველი და განათლება უცხოელ ნიადაგზე დამყარდა. ახალგაზდობას სწავლაზე გული აუცრუვდა. დაბა და სოფელი გაივსო ისეთ ახალგაზდობით, რომელსაც მხოლოდ სწავლის გვერდით გაუვლია და ეხლა უაზრო ცხოვრებას მისდევს. ამ ახალგაზდობას გონივრული და სასარგებლო შრომა არც შეუძლიან და არც მოეთხოვება. შრომისა და საქვეყნო ღვაწლის სიყვარული ოჯახს უნდა ჩაენერგა... მაგრამ საიდგან და როგორ?!,

Plebs

დი ანტრაქტები ხოლმე. საზოგადოება ძლიერ იღალება ფოიეში სიარულით, სადაც თამბაქოს მოწევა-კი არ შეიძლება და ისე მოსწყინდება ხოლმე თეატრი, რომ კაფეშანტანში რჩეობს სიარულსა. დროა, თეატრების დირექტორებმა შეიგნონ, რომ უთვლად შეუძლებელია, ხალხს 7 საათიდგან 12 საათამდე თეატრში აცდევინონ იმ პიესის სანახავად, რომლის წარმოდგენისათვის საკმარისია სულ 2—3 საათი. იმ თეატრს, რომელშიაც ანტრაქტები 5 წამზედ მეტი არ არის ხოლმე, უთველთვის უფრო მეტი შემოსავალი აქვს.

## გამოსადეგი ცნობანი

ქარების წამალი. ექიმი კილი შემდეგს წამალს ურჩევს ქარებით ავადმყოფს: უნდა ხუთი წილი თეთრი წმინდა სანთელი და სამჯერ მეტი ღორის ქონი ერთად გაადნონ; როცა შენელდება, უნდა მოუმატონ ხუთი წილი (წონით) ხლოროფორმი ცოტ-ცოტად და თან ურიონ. შემდეგ ეს წამალი თხლად და თანაბრად უნდა წაუსვან ტილოს და იმ ადგილას დაადონ ავადმყოფს, სადაც ქარები აწუხებს.

კოღოს, ფუტკრისა და კრაზანას ნაკბენის მორჩენა. ნაკბენი ადგილი დასველებულ მარილით უნდა დაიზილოს და სიმწვავე გაივლის, სიმსივნეც დაცხრება.

მეორე უებარი წამალი კიდევ ხახვისა ანუ ნივრის წვენია, რომლითაც უნდა კარგად დასველდეს ნაკბენი ადგილი. ნესტარის ამოღება არც-კია საჭირო, წამალი სრულიად წაართმევს ძალას.

# დეპეშა

10 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა დროებითი დებულებანი შესახებ პურის დაზღვევისა (ხორბლად) რუსეთის დამზღვევ საზოგადოებათა მიერ $50^0/_0$-ზედ ნაკლების ტარიფით. ასეთ დაზღვევაზე სრული თანხმობა გამოაცხადეს საზოგადოებათ: „1 რუსეთისამ“. „მე-2 რუსეთისამ“, „სალამანდრამ“ და საზოგადოებამ „რუსეთი“; დანარჩენ საზოგადოებათა თანხმობა შემდეგ გამოცხადდება.

დამტკიცებულ იქმნა წესდება იაროსლავის საზოგადოებისა, რომელსაც საგნადა აქვს დაეხმაროს კერძო სამსახურში მყოფთ.

გაზეთი Бирж. Вѣд.-ი იუწყება, რომ გარდაწყვეტილია საბაჟო დეპარტამენტს ჩამოერთვას გამგეობა საზღვრების სადარაჯოებისა და დაარსდეს ცალკე მმართველობა საზღვრების სადარაჯოებისა, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს ფინანსთა მინისტრს.

**რომი.** Banca Romana-ში ბოროტ-მოქმედებისათვის 7 კაცი სამართალში იქმნება მიცემული.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დისკონტი $4^0/_0$-დგან $3^1/_2{}^0/_0$-მდე დასწია.

## პეტერბურგის ბირჟა, 10 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7,_{66}$ | $7,_{69}$ | — „ |
| ტრამოყნის კუპონები | $153,_{26}$ | 153 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი | — „ | — „ | $241^3/_4$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $218^3/_4$ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | $193^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6% | — „ | $100^1/_2$ | — „ |
| 5% | — „ | 100 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | $100^1/_4$ | — „ |
| 5% | — „ | 100 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | $98^1/_2$ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქუთაისს. ა. ...ძეს.** გვწერთ: „რატომ „ივერია“ და „კვალი“ არაფერსა სწერენ მთელ დასავლეთ საქართველოში ატეხილ-ბანკის საარჩევანო ბრძოლაზედ. ეს საქმე ჩვენთვის ისეთი საქმეა, რომელშიაც აღმოჩნდება ჩვენის გონების სიმწიფე, ჩვენის ზნეობის ხარისხი და ჩვენის ქვეყნის ერთგულება.“

ჩვენ მაგ საგნის გამო არა ერთხელ გვქონია მსჯელობა და ჩვენი თანაგრძნობა, სადაც ითკენაც არის, ეს ყველამ იცის. ხოლო რატომ მდუმარებს „კვალი“-ს რედაქცია, ამისი-კი რა მოგახსენოთ. უთუოდ „კვალი-“ს რედაქცია ხელმძღვანელობს ჩვენის დიდებულის პოეტის რჩევით:

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
სოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიადმ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალ-

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი


ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

„ბექჰეი ბოსს“

ზ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. იყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

M. (20—1)

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ **დაიცალა** დიდითონეთის სასოფლო სკოლის **მასწავლებლის** ადგილი და, ვისაც სურს ამ ადგილზე განწესება, უნდა გამოგზანოს თხოვნა გამგეობის სახელობაზე. მასწავლებელს ეძლევა ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი, ბინა საცხოვრებლად და შეშა.

(5—2)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსადეგებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.



ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
И
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
И
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и Ко
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

## მამოსადეგი ცნობანი

### პირველი კერძო საავადმყოფო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ე. მ. ჩიქოანი,** 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი,** $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი,** 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. ა. გადომსკი,** 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი,** $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი საავადმყოფოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

## პანსიონი ტერ-აკოფოვისა

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იყვანს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისაღებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—5)

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეთორმეტე

კურსებიცს დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შე ძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მეცნიერება, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა სააგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—19)

## სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიყზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.


Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე